წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. შაბათი, 8 აპრილი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакцiя „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] წინ 30 კ., [illegible] 20 კ. [illegible] ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ცალკე 10 კაპ.

№ 76 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 76

# გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: ხანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

კვირას, 9 აპრილს, კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და წირვის შემდეგ სასაფლაოზე პანაშვიდი, არამიანცის გადამდებ სენიანთა საავადმყოფოში უდროოთ გარდაცვალებულ ფერშალ-ქალი

თამარ ნიკოლოზის ასულის
პოპიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-დამწვარნი მშობლები ნიკოლოზ მიხეილის ძე და ელენე მალხაზის ასული პოპიაშვილები, მამიდები ბარბარე ჭრელაშვილისა და ოლა მენთეშაშვილისა. (1—640—1)

უსაზღვროთ დამწუხრებულნი მეუღლე ელენე ნიკოლოზის ასული, შვილები ნადეჟდა და ალექსანდრე და შვილისშვილი ქორა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალ. ოზურგეთში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ექიმი იაგორა ალექსანდრეს ძე
თაყაიშვილი

ოზურგეთში წესის აგების შემდეგ წაასვენებენ და მიცვალებულს დაასაფლავებენ სოფ. ლიხაურში შაბათს, 8 აპრილს.
(1—589—1)

## თბილისის გუბერნიის სასურსათო კომისარიატისაგან

გაზეთ „კავკაზის“ ამა წლის 29 მარტის, № 71, მოთავსებულია სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ქ. თბილისში ყველა მოვაჭრეებს მიეცათ წინადადება, რომ მათ ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოედგინათ ცნობები იმ გამზადებულ და მომარაგებულ სურსათ-სანოვაგის შესახებ, რომელიც ამა წლის 27 მარტის ნიხრში იყო გამოცხადებული.

მიმდინარე უქმეების გამო ყველა მოვაჭრეებმა ვერ მოასწრეს წარმოედგინათ მოთხოვნილი ცნობები, და კომისარიატი მოკლებულია საჭირო მასალას, გაითვალისწინოს ქალაქში საბოლოოდ შენახული სანოვაგის რაოდენობა.

აღნიშნავს რა ამ წლის 29 მარტის თავის დადგენილებას, კომისარიატი ხელახლად აძლევს წინადადებას ყველა ქ. თბილისში მოვაჭრეთ წარმოადგინონ კომისარიატის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა) მოთხოვნილი ცნობები სამი დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების საჯაროდ გამოქვეყნებისა. ყოველივე სანოვაგე, რომელიც აღმოუჩნდებათ მოვაჭრეთ და რომელიც არ იქნება ნაჩვენები მათგან წარმოდგენილ ცნობებში, ჩაითვლება როგორც გადამალული და მათ შესახებ მიღებული იქნება სარეკვიზიციო ზომები.—

(1—642—1) კომისარიატი.

## თბილისის გუბერნიის სასურსათო კომისარიატისაგან

კომისარიატი სთხოვს ყველას, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირთ, ქ. თბილისში ყოველივე ცნობებისათვის საჭირო სურსათის შესახებ მიმართონ

### ქალაქის სასურსათო კომიტეტს,

რომელიც დროებით მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის შენობაში და რომლის სათავეში დგანან მოქალაქენი: რუსია, სტაროსელსკი და ნოვაკი.

კომისარიატი.

(1—641—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

პარტიის მთავარი კომიტეტი.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში.

## საფრთხის ნიშნები

რევოლიუციის სასურველი დაბოლოება და ჩვენი მარადიულ ეროვნულ მისწრაფების განხორციელება სულ-ერთიანად დამოკიდებულია იმ ძალთა შეთანხმებულ თანამშრომლობაზე, რომელთაც ეს რევოლიუცია მოახდინეს. ამ თანამშრომლობის სიმტკიცეზე ჰკიდია მთელი რევოლიუციის ბედი. სამწუხაროდ, რაც დღე გადის, ამ ძალთა შორის ახალ-ახალი შეხლა-შემოხლა ხდება, ურთიერთობა მწვავდება და განხეთქილებას ადგილი ეძლევა. ორი გარემოება ჰბადებს ამის მიზეზს. ერთი ის გახლავთ, რომ ზოგი მომქმედი რევოლიუციური ძალა პირველობას იჩემებს და მიისწრაფვის, რომ დანარჩენ რევოლიუციურ ძალებზე თავისი მბრძანებლობა განამტკიცოს. ასეთი მისწრაფება სრულიად ბუნებრივად იწვევს გულისწყრომას, აღშფოთებას და შესაფერ რეაქციას.

მეორე გარემოება ის გახლავთ, რომ თანდათან დავიწყებას ეძლევა რევოლიუციის ნამდვილი ბუნება, მის წმინდა პოლიტიკური ხასიათი. უკიდურესი პარტიები თავს ვერ იკავებენ და ზოგან-ზოგან სოციალურ საკითხების უკიდურესად გადაჭრას ეტანებიან. ამ მხრივ ნიშანდობლივია მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატების, ეგრედ წოდებული „ბოლშევიკების“, პროპაგანდა და მოქმედება რუსეთში.

ეს ვაჟბატონები მრავალრიცხოვან მიტინგზედ პეტროგრადში მუშებს მოუწოდებდენ—„ყუმბარები მზად გქონდესთ დამფუძნებელ კრების ასაფეთქებლად. დროებითი მთავრობა თქვენი ჯალათებია, ძირს მისი ბატონობა. მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ საკმარისია 4 საათის სამუშაო დღე. გლეხებს კიდევ აღარ სცალიანთ დამფუძნებელ კრებას მოუცადონ. მათ ეხლავე უნდა ხელი მიჰყონ მემამულეების მიწების ჩამორთმევას. მუშებო, აბა ხელთ იგდეთ ქარხნები თქვენს სასარგებლოდო“.

რადგანაც უკიდურეს სოციალისტურ პარტიებს პროგრამის მაქსიმუმი მორალურ დასტურს აძლევს და ერთგვარად ავალებს კიდეც მუდამ ზრუნავდენ სოციალურ პრობლემების რადიკალურ გადაჭრისათვის, ამიტომაც მათთვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს თავი შეიკავონ იმ გვარ პროპაგანდა-მოქმედებისაგან, რომლის ნიმუში ზევით მოვიყვანეთ. ხოლო ასეთი პროპაგანდა და აგიტაცია მძაფრ აღშფოთებას იწვევს ყველა იმათაგან, ვინც არ იზიარებს სოციალისტების უკიდურესს აზრსა და მეთოდს სოციალურ უსამართლობის სალიკვიდაციოთ. უნდა აუცილებლივ ისიც აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატ მენშევიკები ბოლშევიკების ასეთ მოქმედებას ენერგიულად ებრძვიან. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეხლა რევოლიუციაა და მადა საშინლად გაღიზიანებულია, თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ მას შემდეგ რაც მოხდა, ყოველგვარი ცვლილება და სოციალური გარდაქმნა შესაძლებლად ეჩვენება ნამეტურ იმათ, ვინც ჩვეულებრივ დროს სოციალურ ურთიერთობის რადიკალურად გარდაქმნას გაცხარებით ქადაგებდა და მისი მახლობელი განხორციელება სწამდა,—თუ ყოველივე ამას გავიხსენებთ და წარმოვიდგენთ, მაშინ ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ბოლშევიკებს, მენშევიკები შეაყენებენ და რომ უკიდურესობის პსიხოლოგიის მატარებელი პარტიები რევოლიუციის პოლიტიკურ ხასიათს არ გადასცდებიან. ამგვარად დღევანდელი რევოლიუციის საფრთხე უკიდურეს სოციალისტთა პროგრამულ პრინციპის ძლიერებაში იმალება. ნებისყოფის არაჩვეულებრივი ენერგია უნდა გამოიჩინონ ამ პარტიებმა, რომ თავიანთ საბოლოო მიზნების განხორციელება ეხლავე გულში არ გაიტარონ; არა ჩვეულებრივი მოქმედება და ენერგია უნდა განავითარონ თავიანთ პროგრამულ პრინციპის ნიადაგზე ყველა არა იმ სოციალისტურმა რევოლიუციურმა ძალებმა და პარტიებმა, რომ უკიდურესი პარტიები შეაკავონ მაქსიმალურ გაქანებისკენ. თუ დღევანდელ რევოლიუციის პოლიტიკურ მიზანს არ ვუღალატებთ და ყველა რევოლიუციური პარტია თანხმობით იმოქმედებს, მაშინ შესაძლებელი გახდება დაწყებული პოლიტიკური გარდაქმნის მიყვანა თვის ლოღიკურ დასკვნამდე, დემოკრატიულ რესპუბლიკის დაფუძნებამდე. ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლებაც უფრო შესაძლებელი და მოსალოდნელი იქნება რუსეთის დღევანდელი რევოლიუციის ასეთის ლოღიკურის დამთავრებით.

ყველა ამ მოსაზრების ძალით რევოლიუციის ნამდვილი მეგობრები უნდა დაერიდნენ რევოლიუციურის გზით სოციალურ საკითხების გადაჭრას, კლასთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას. დაე, რუსეთმა განიმტკიცოს სრული დემოკრატიული წყობილება, დაე, საქართველომ და სხვა ქვეყნებმა რუსეთში მოიპოვონ ეროვნული თავისუფლება და სრული დემოკრატიული წყობილება და მაშინ დადგება ხანა სოციალური საკითხების ნორმალური გადაჭრისა.

## ბრძოლის პროცესში

მოიზხამა ჰაერი! საქართველოს მტრების შთაგონებით ბრწყინვალე იდეია ქართველი ხალხის შემოკრებისა და მის შეხუთულ ძალების აღორძინებისა დაუნდობლად შეიბილწა! მოიარეთ თბილისის ქუჩები, მოისმინეთ აქა-იქ ექსპრომპტულ მიტინგებზე სჯა-ბაასი, და თქვენ დარწმუნდებით, რა გვარის ენერგიით სწარმოებს მუშაობა ფართო მასაში, რა უდიერ ზომებსა ხმარობენ, რომ შეუფერებელ და გადამახინჯებულ სახით უჩვენონ როგორც უცხო ტომთ, ასევე წინასწარ აზრით გატაცებულ ზოგიერთ ქართველებს ის უმაღლესი პრინციპი, რომელსაც ამ ჟამად განსაკუთრებით უნდა ემსახურებოდეს მთელი ჩვენი ჭკუა და გონება.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ გასულ წელთა გამოცდილებით ეხლა მაინც ვიხელმძღვანელებთ რთულ და მეტად საჭირო საკითხების შესაბამ გამორკვევაში, მაგრამ ამაოდ: ვერც 1905 წელმა, ვერც კიდით-კიდემდე ატეხილ ზარბაზანთა გრიალმა, ვერც უკანასკნელად რუსეთის უდიდესმა პოლიტიკურ გარდაქმნამ და ვერც სხვა ერთა მაგალითმა ვერ მიგვიყვანა საერთო შეთანხმებულ მუშაობამდე, ვერ გვაღირსა შეკავშირებულად გვემოქმედნა იმ საკითხის გარდაწყვეტაში, რომელიც თავდებია სამშობლოს მომავლის სვე-ბედისა.

დღეს მხოლოდ ბოროტგანმზრახველი, მხოლოდ მოსისხლე და შეურიგებელი მტერი ქართველი ხალხისა ხელს შეუწყობს და გაავრცელებს ყალბ და უკუღმართ ცნობებს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობის შესახებ. უწინაც გვსმენია ცილის წამება და შეურყეველ ფაქტების წახდენა, გარნა ყურად საღებ და ამაღელვებლად არ ჩაგვითვლია იგინი, ვინაიდგან საკითხი ისმოდა და ირკვეოდა უმეტესად თეორიულ ნიადაგზე, მას ებლეოდა აკადემიური ხასიათი.

აწინდელ დროს პრაქტიკულად ხორციელდება ზოგი ისეთი დებულება, რაც უწინ იდეალად ითვლებოდა, რაზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა! ამგვარი ბედი ეწია საქართველოს ავტონომიის საკითხსაც, რომელიც დღეს ჩვენ დაგვისახავს ერის უპირველეს და უმთავრეს პოლიტიკურ ლოზუნგად; ყველა სხვა სოციალ-პოლიტიკური პრობლემა ამ ჟამად ჩვენს პრაქტიკულ სფეროს გარეშე სდგას; სიტყვითა და საქმით ვემსახურებით ამ ცნებას, იგი დაგვისახავს უახლოეს მიზნად, მისკენ მიპყრობილი უნდა იყვეს აგრეთვე ყოველ ქართველის გონება. საქართველოს ავტონომია! ეს არის, თუ გნებავთ, ალფა და ომეგა ჩვენის პრაქტიკულ მოქმედებისა, ეს არის ცნება, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით და რომლის განხორციელებისათვის მოვუწოდებთ სოფლად და ქალაქად თანამემამულეთ! საქართველოს ავტონომია ის მკვეთრი სიტყვაა, რომელიც, პატივცემულ გიორგი გვაზავას დახასიათებით ელვასავით გადადის მთელს საქართველოზე და აუცილებლად მოაქცევს თავის ცეცხლის რკალებში ყოველ მამულიშვილს!

ამ წმინდა საქმეში ხელს შეგვიშლის და წინააღმდეგობას გაგვიწევს მხოლოდ სამშობლოს მტერი და ის უცხო ელემენტი, ვინც რომ ქართველთა უბედურობაზე აგებდა თვის ბედნიერებას, ვისთვისაც დიახაც რომ ხელსაყრელი იყო ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა, ჩვენი უძლურება და დაქვეითება! არავის უნდა აკვირებდეს ის ფაქტი, რომ უთანხმოება და შუღლი ქართველთა შორის განუსაზღვრელი სიხარულით ავსებს ბოროტის მთესველთ... მტრებს არა სძინავთ: ასე თავ გამოდებით და დაუღალავად ამათ არასოდეს უმუშავნიათ! მათ ემორჩილებიან ბნელი ძალები, და მუყაითად აბნევენ მოწამლულ თესლებს: ქართველები ლამობენ რუსეთისაგან ჩამოშორებას, ქართველები ასუსტებენ რევოლიუციას და ხელს უწყობენ თვითმპყრობელობის დაბრუნებას! ავტონომია გულისხმობს ბატონყმობის აღდგენას, ავტონომიის მიღებისთანავე ყოველი არა-ქართველი იძულებული იქნება მიატოვოს საქართველო... და ბევრი სხვა! არ გავკადნიერდებით და მკითხველს ასეთ უაზრობის აღნუსხვით თავს არ შევაწყენდით, რომ ამაში დამაფიქრებელი და სამწუხარო რამ არ იმალებოდეს: ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღეს პრაქტიკულ მოქმედების დროა,—ეს არ უნდა ავიწყდებოდეს ქართველობას, მას უნდა ახსოვდეს, რომ ავტონომიის მოპოებაში იგი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ირგვლივ მყოფ ხალხის განწყობილებას; ხალხს-კი—მის უმრავლესობას—მეტად ნაკლებად ესმის ავტონომიის ნამდვილი შინაარსი, და ხშირად ორ ცნებას—ავტონომიას და სეპარაციას—ერთიმეორეში ურევს. განსაკუთრებით მიმართულებისა, წინამძღოლთა და საზოგადოთ პოლიტიკურ მოღვაწეთა სამღვთო მოვალეობაა აუწყონ ხალხს საქმის ჭეშმარიტი ვითარება, რომ ავაცდინოთ არა-სასურველი მოვლენანი, რომელნიც მუდამ თან ახლავან გაუგებრობას და უმეცრებას. ჰერცენი ამბობდა: ხალხის დუნდგოს, ვით ყმაწვილს, ნაკლებ ესმის,—ბლომადა გრძნობსო! აგრძნობინეთ მაინც, ბატონებო, რომ ზემორე მოყვანილი ბრალდება მხოლოდ ცილის წამებაა; ღიად არეთ—ამას გიმეორებთ—საჯაროთ, საქვეყნოთ, რომ ავტონომიის მოპოებაში პირადათ დაინტერესებულია თვით მშრომელი ხალხი! გამოაცხადეთ, რომ დესპოტიას მხარს უჭერს ის, ვინც აფერხებს და ეწინააღმდეგება ერის თვით გამორკვევას, რომ ავტონომიის პრინციპი სრულიად არ ეწინააღმდეგება რევოლიუციას და არც არღვევს რუსეთის მთლიანობას, რომ ერი—თვითმართველი, საკუთარ-შინაურ ცხოვრების გამძღოლი და გამგე—ხელს უწყობს დემოკრატიულ სახელმწიფოს წინსვლას, რომ მხოლოდ დამხობილი ტირანული წყობილება ჰკვეთდა და ახშობდა ერის თაოსნობას, და ამიტომ ამტკიცებდა შეუდრეკელ ცენტრალიზაციას, რომლის შემწეობით მცირე ერთ ასიმილიაციას უქადდა!

როდესაც ქართველი ხალხი განუყოფლად და ერთსულოვნად მოითხოვს ავტონომიას და მის დასამკვიდ-

რებლად სათანადო ზომებს მიმართავს, როდესაც მოისპობა ერის შინაურობაში ამტყდარი უთანხმოება და როდესაც მთელი საქართველო აღფრთოვანებით და მოწიწებით მიეგებება ერის აღორძინების უდიდეს აქტს, მაშინ დარწმუნებულნი იყავით, რომ მეყსეულად მოისპობა ავტონომიის გარშემო ატეხილი განგაში, და საქართველოს განახლების წინააღმდეგნი და მტერნი ქედს მოიხრიან ხალხის მტკიცედ გამოთქმულ ნების-ყოფის წინაშე.

რ. ინგილო.

# რევოლიუციის დეპეშები

5 აპრილი.

## სათათბიროს მოწოდება

**პეტროგრადი.** ოფიციალი. მოქალაქენო! რუსეთი თავისუფალ ცხოვრების და თავის შვილთა თანასწორუფლებიანობის გზას დაადგა. ძველ მთავრობას ჩვენ ფულს არ ვაძლევდით, ვიცოდით, რომ იგი ჩვენს ფულს შესჭამდა და არ ვენდობოდით. ეს მთავრობა ჩამოგდებულია და ვეღარ აღსდგება. მის ადგილზე ახალი მთავრობა ჩადგა. ეს მთავრობა ხალხის ფულს გაუფრთხილდება და უთავბოლოდ არ დაჰფანტავს, იმ ხალხს, რომელიც ახალ მთავრობას შეადგენს, ჩვენი ქვეყანა ამ ხალხს ენდობა და კიდეც უნდა მისცეს მხარი. ახალი წყობილება და ახალი უფლებანი სახელმწიფოს ახალ და ძლიერ მოვალეობებს უჩენს. ხომ იცით, რა ხარჯსა სთხოვს სახელმწიფოს ეს ომი: ეს ხარჯი თავის სიდიდით ჯერ უნახავია. უფულოდ ომის არც წარმოება შეიძლება და არც გათავება, უფულოდ შეუძლებელია ძველი მთავრობის მიერ ჩადენილ შეცდომათა და უსამართლობათა გასწორება. უფულოდ შეუძლებელია შინაურ მრავალ საქმეთა მოწყობა და გარდაქმნა. დღეს იწყება „თავისუფლების სესხზე" ხელის მოწერა. ეს პირველი სესხია, რომელიც თავისუფალ რუსეთის სახალხო მთავრობამ გამოსცა. რაც უფრო მეტს გაიმეტებთ თქვენს წვლილს „თავისუფლების სესხისათვის", მით უფრო მეტის უნარით გაუძღვება ახალი მთავრობა ქვეყნის საჭიროებას. სახელმწიფო სათათბირო მოუწოდებს ყველას, ვისაც რამდენი შეგიძლიანთ, იმდენი მიეცით „თავისუფლების სესხს" და მით თავისი სამოქალაქო მოვალეობა აღასრულოს სამშობლოს წინაშე. მოქალაქენო! იყიდეთ ახალი, „თავისუფლების სესხი". კაპიტალისა და წარმოების ხალხო! გვიჩვენეთ მაგალითი! ყველამ, ქალაქმა და სოფელმა, კოოპერატივებმა და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა, ყველამ მოიტანეთ თქვენი წვლილი საერთო სახელმწიფოს სალაროში, მიიტანეთ ყველაფერი, რის მიტანაც კი შეგიძლიანთ და თვალ-ნათლივ დაამტკიცეთ, რომ რუსის ხალხი ძლიერია, მდიდარი და მდიდარი და თავის დაცვა შეუძლიან. განახლებულმა რუსეთმა „თავისუფლების სესხი" უნდა დაჰფაროს.

## დროებითის მთავრობის დადგენილებანი

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) გაუქმდეს პოლიციის დეპარტამენტი, მისი მოსამსახურენი შტატს გარეშე დარჩნენ საერთო საფუძვლების მიხედვით. 2) შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსდეს დროებითი მმართველობა საზოგადო პოლიციისა მოქალაქეთა პიროვნების და ქონების დასაცველად. 3) შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს, ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით, მოისპოს ის კრედიტები, რაც ეხლა საჭირო აღარ არის. 4) ყოფილ საპოლიციო დეპარტამენტის საპოლიტიკო ხასიათის საქმეთა სალიკვიდაციოთ დაარსდეს განსაკუთრებული კომისია სამართლის მინისტრთან შეთანხმებით.

გზათა მინისტრის ნეკრასოვის განკარგულებით აპრილის 17 ს, ღამის 9 საათიდან, ყველა გზებზე უნდა შემოღებულ იქმნას ახალი თვლა საათისა. დაითვლება 24 საათი და არა თორმეტ-თორმეტი.

## საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტების წარმომადგენელნი რუსეთში

**პეტროგრადი.** აპრილის 5 დროებითმა მთავრობამ მიიღო საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტთა წარმომადგენლნი. დაესწრნენ: ლვოვი, კერენსკი, შინგარიოვი, მილიუკოვი, ნეკრასოვი, მანუილოვი, კონოვალოვი, გოდნევი და დროებით მთავრობის საქმეთა მოურავი. საფრანგეთის დელეგატები იყვნენ: მუტე მარსელი, კაშენი, ერნესტი და ნიაფონი; ინგლისელების წარმომადგენლნი: პარლამენტის წევრი ჯემს ეილლი და ტესონი; ინგლისის დელეგატთა სახელით დროებით მთავრობას მიესალმა სანდერსი, ფრანგების სახელით—მუტე. ინგლისის და საფრანგეთის სოციალისტებს უპასუხეს მილიუკოვმა და კერენსკიმ.

## ეპისკოპოსი ევლოგი

**ჟიტომირი.** 7 აპრილი. ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში ეპ. ევლოგის წინანდელი და ეხლანდელი მოღვაწეობა, დაადგინა ეთხოვოს მთავრობას მისი გადაყენება.

## სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენცია

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: ვოლფის სააგენტოს ცნობით, სოციალისტთა საერთაშორისო ბიუროს აღმასრულებელ კომისიის ჰოლანდიელი წევრები სტოკჰოლმს გაემგზავრნენ, რათა სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ხელი შეუწყონ.

## ბნელი ძალები

**სიმფეროპოლი.** ხმა გავრცელდა, ფალცფეინის ეკონომიაში, პრეობრაჟენსკში, ტყვიის მფრქვეველები და იარაღი ინახებაო. ეკონომია გაჩხრიკეს, აღმოაჩინეს 40 ბერდანა და რამდენიმე ვინტოვკა. ტყვიის მფრქვეველები არ იყო. ეკონომიაში ყოფილი სტრაჟნიკები და ურიადნიკები იყვნენ.

**ოდესა.** მოვიდა ბესარაბიის მეციხოვნეთა დელეგატი შტაბს-როტმისტრი პეტრუნკევიჩი. მისი ცნობით ბესარაბიის გუბერნიაში საზოგადოებრივი ინიციატივა ჩაკლულია. საზოგადო ორგანიზაციების სათავეში ძველი რეჟიმის მომხრე სინეულოვი სდგას. ჟანდარმები თავისთავად არიან. „ოხრანკის" ქაღალდები, წონით 50 ფუთი, სადღაც გაიტანეს.

**ბერდიანსკი.** დაატუსაღეს ჟანდარმთა როტმისტრი ნავროცკი. მან რამდენიმე პროვოკატორი გასცა. ეს პროვოკატორები ადგილობრივ მემარცხენე ორგანიზაციების წევრები არიან. მათ შორის არიან მუშა სოციალ-დემოკრატები კონსტანდოპულო და ტატარენკო. ამათ „ოხრანკაში" 1915 წლიდან უმსახურნიათ. ტატარენკო მილიციის უფროსის თანაშემწის კანდიდატად ყოფილა დასახელებული, ყველანი დაატუსაღეს და გამოსტეხეს.

**ხარკოვი.** 6 აპრილს ფოლჩანსკში მოვიდნენ სალდათურად ჩაცმულნი ფუნოვები და განაცხადეს, ჩვენ პეტროგრადიდან ვართ გამოგზავნილნი აქაურ მთავრობის გადასაყენებლადო. მათ კომისარი კოლოკოლცევი გადააყენეს და სხვა დანიშნეს. შემდეგ უცნობებმა ბრბოს უწინამძღვრეს და მილიციის იარაღის საწყობები დაარბიეს, ხელთ იგდეს სამი ავტომობილი და კოლოკოლცევის მამულისაკენ გაემგზავრნენ კოლოკოლცევის დასატუსაღებლად. კოლოკოლცევმა ხარკოვში გაასწრო. დაედევნენ. აქ მათ მილიციონერები მოითხოვეს კოლოკოლცევის დასატუსაღებლად. ამაზე უარი უთხრეს. ზოგიერთი მათგანი მიტინგზე დაატუსაღეს.

## უწესოებანი

**ფელინი.** შინ მოსულ ჯარისკაცებმა და ბრბომ აპრილის 3-ს კერძო ქონება აიკლეს და გაცარცვეს. გაცარცვეს უმთავრესად გერმანელები. მილიცია დაიშალა. დაატუსაღეს მილიციის უფროსი ბარსი, ყოფილი „ისპრავნიკი" ფიბონი და ბოქაული სანოგაილო. აპრილის 5 მოვიდა სალდათთა რაზმი. წესიერება აღდგენილია. დაარსეს კომისია ფობონისა და სანოგაილოს 1905 1904 წ. წ. მოქმედების გამოსაძიებლად. ზარალი 200.000 მანეთისაა.

## დეპუტატ ნოვიცკის საქციელი.

**პეტროგრადი.** როძიანკომ ცნობა მიიღო, რომ სათათბიროს წევრი ხერსონის გუბერნიის წარმომადგენელი გუბერნიაში მოგზაურობს და თვითმპყრობელობის სასარგებლოდ ჰქადაგებდა. როძიანკომ დეპეშით წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ პეტროგრადში დაბრუნდიო.

## თავისუფლების ძეგლი.

**პეტროგრადი.** მთავრობამ დაადგინა პეტროგრადში ძეგლი დაედგათ თავისუფლებისთვის ბრძოლაში დახოცილთ. ძეგლი მთავრობის ხარჯით დაიდგმება. დაუყოვნებლივ გამოცხადდება სრულიად რუსეთის კონკურსი ამ ძეგლის გაკეთებისათვის.

# ეროვნული საკითხი

## უკრაინელები

**კიევი.** უკრაინელმა იუნკრებმა დაადგინეს, რომ ყველა ის პოლკები, რაც კი უკრაინაში არის, შევსებულ უნდა იქმნეს უკრაინელ აფიცრებით და ჯარის-კაცებითაო. აი რეზოლიუცია: „ყველა ის პოლკები, რაც კი უკრაინაში სდგას, შევსებულ უნდა იქმნეს უკრაინელ ჯარის-კაცებით და ოფიცრებით. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ უაზრობაა რუსეთში დაფანტვა უკრაინელ მეომრებისა. ის უკრაინელები, რომლებიც სამხედრო სასწავლებლებს ათავებენ, უკრაინაში მყოფ ჯარში უნდა დაინიშნონ. ის უკრაინელები, რომლებიც სამხედრო სხვა და სხვა სასწავლებლებში სწავლობენ, უკრაინაში უნდა იქმნენ დაბრუნებულნი და იქაურ სასწავლებლებში გადმოყვანილნი. ის ჯარის კაცები, რომლებიც უკრაინაში არა მსახურობენ, ცალკე რაზმებად უნდა იქმნენ გამოყოფილი და შეძლებისდაგვარად, უკრაინაში დაბრუნდნენ. ეს რეზოლიუცია უნდა წარედგინოს უკრაინელთა სამხედრო კომიტეტ'', კიევის მეციხოვნეთა ჯარის კაცების დეპუტატთა საბჭოს, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს და სამხედრო მინისტრს.

**კიევი.** დაიწყო უკრაინელ მასწავლებელთა კრება. დაესწრო 500 კაცი. თავმჯდომარედ არჩეულია პრივატ-დოცენტი სუშიცკი. კრებამ განათლების მინისტრს მანუილოვს უკრაინელ ენაზე დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ნათქვამია: „შეუდექით უკრაინაში ყველა სკოლების უკრაინიზაციას და ამავე დროს უკრაინელი მასწავლებლები ყოველ ღონეს იხმარებენ რათა თავისუფალ უკრაინაში მყოფ სხვა ეროვნებათა უფლებანი დაცულ იქმნენ. კრება დაიმედებულია, რომ დროებითი მთავრობა უკრაინელთა ყველა უფლებებს უზრუნველ ჰყოფს, უზრუნველჰყოფს უკრაინელთა კულტურულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას. უკრაინელი მასწავლებლები თავიანთ მოვალეობად ჰრაცხვენ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობის ყველა განკარგულებებს, რაც კი ხალხისმიერ მოპოვებულ თავისუფლებას განამტკიცებს და უკრაინელთა საჭიროებებს დააკმაყოფილებს. ხოლო ეს დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომიის მეოხებით. კრებამ დაადგინა დაარსოს უკრაინული სასკოლო მთავარი რადა,—საბჭო გამართოს საპედაგოგო კურსები პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად და კურსები ინსტრუქტორების და ლექტორების მოსამზადებლად ქალაქებისა და სოფლებისათვის და სხ.

**კიევი.** 6 აპრილს, უკრაინელ სოციალ-დემოკრატების კონფერენცია იყო. რეზოლიუციაში გადაჭრით არის წამოყენებული უკრაინის ავტონომიის მოთხოვნილება.

## ფინები და ესტონელები

**კოპენჰაგენი.** რაკი ავსტრიის მთავრობამ ეროვნებათა საკითხის გადაწყვეტა დააგვიანა, ამიტომ რამდენიმე მინისტრი გადადგა. სხვათა შორის, გადადგა გალიციის საქმეთა მინისტრი ბობრინსკი. მიზეზი ის არის, რომ გალიციის ავტონომიის შემოღება მთავრობამ გადასდო.

**ჰელსინგფორსი.** ახალგაზრდა ფინელთა კრებამ დაადგინა ესტონელებს დეპეშა გაუგზავნოს და მიულოცოს ესტონელების მიერ თვითმმართველობის უფლებების მიღება. „ახალგაზრდა ფინელების პარტია, რომელიც ესტონელ ხალხს ღრმა პატივს სცემს, თავისუფლებისადმი გაუნელებელ სიყვარულისათვის, აწ თავისუფალ ესტლანდისა გულითად სალამს უძღვნის."

## მუსულმანები

**ყაზანი.** დაარსდა მუსულმანთა სამხედრო კომიტეტი. მისი აზრია, ყველა მუსულმან ჯარის კაცნი შეაკავშიროს. კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ცალკე მუსულმანურ პოლკების შედგენაო. კომიტეტს იმედი აქვს, რომ ეს პოლკები საერთო სამშობლოს პატიოსნურად დაიცავენო.

# ომის დეპეშები

### მთავარ ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი.** 6 აპრილი. ოფიციალი. დასავლეთისა, რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზებზე სროლა და მზვერავთა თარეშია.

## საფრანგეთი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს დაწვრილებითს ცნობებს საფრანგეთის ასპარეზზე, მონში-ლეპრეს მიდამოში, 4 აპრილს მომხდარ ცხარე ბრძოლისას. განსაკუთრებით თავგანწირვით იბრძოდნენ, თურმე, გერმანელები სარრეს ტყისა და მერის მიდამოებში. გერმანელები იერიშით წამოვიდნენ გაშლილ ველზე, თუმცა ინგლისელების ზარბაზნებით დიდ ზიანს აყენებდნენ, მაგრამ გერმანელები შეუჩერებლივ მოექანებოდნენ და სოფ. მონშისთან მდებარე თხრილებში შეჰრნენ. აქ ცხარე, ხელჩართული ბრძოლა მოხდა. მოპირდაპირემ ვიწრო თხრილებში ფეხი მოიკიდა. ინგლისელებმა ბრძანება მიიღეს, დააცალეთ ბევრი გერმანელი შეგროვდესო. თხრილები რომ გერმანელებით გაივსო, ინგლისელებმა საშინელი სროლა აუტეხეს ზარბაზნებისა; გერმანელები უწესრიგოდ გაიქცნენ, ინგლისელთა ზარბაზნები დიდს ზიანს აყენებდა მათ. ერთმა ინგლისელმა აფიცერმა 40 გერმანელი მოჰკლა. დახოცილთა რაოდენობა 2500 უდრის. გერმანელებმა ორჯელ სცადეს იერიშის განახლება, მაგრამ ზარბაზნებით მოიგერიეთ.

**რიგა.** ხელში ჩაგვივარდა გერმანელთა მთავარბანაკის ოფიციალი მოხსენება საფრანგეთის ასპარეზზე მომხდარ დიდი ბრძოლისა, სადაც ნათქვამია: მთავარბანაკი. 17 (4) აპრილი 1917 წ. დასავლეთის ასპარეზი გერმანელ კრონპრინცის ჯარისა. მდ. ენეზე მოხდა თანამედროვე მსოფლიო ომის ერთი უდიდესი ბრძოლათაგანი. 6 აპრილს (ჩვენებურად 24 მარტს) განუწყვეტელი სროლა იყო ზარბაზნებისა, რომლის მსგავსიც ხანგრძლივობით, თავგანწირულობით თუ ყუმბარების სიმრავლით ჯერ არ ყოფილა. ასეთი სროლის მეოხებით ფრანგებს ჰსუროდათ ჩვენი ჯარი დაესუსტებინათ, ჩვენი ბატარეები გაენადგურებინათ და ჩვენს თხრილებზე იერიშით წამოსულიყვნენ. 6 აპრილს სისხამ დილით სუბორსა (ენზეა) და მეტალის შუა, რეიმსის ჩრდილოეთით 40 ვერსის სიგრძეზე დაიწყო ფრანგების იერიშები დიდძალ მჭიდროდ დარაზმულ ქვეითა ჯარით, სიღრმეზე დიდის მარქაფა ჯარით. ფრანგებს ჩვენი ხაზის გამორღვევა ჰსუროდათ. ნაშუადღევს ფრანგებმა ახალ-ახალი ჯარი მოიშველიეს. მედგარი ბრძოლის შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა ბრძოლა პირველ რიგის თხრილების კი არა, მთელი გამაგრებული მიდამოს დასაპყრობად. ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ სამხედრო ხელსაწყოს დაკარგვა, ცოცხალი ძალის გადარჩენას და მტრის დაზარალებას.

დღეს შამპანში გაჩაღდა ბრძოლა, კრიუსა და ოშერიკის შუა. ასე, რომ ბრძოლა სწარმოებს უაზიდან შამპანამდე. ჩვენი ჯარი სრულის სიმშვიდით ელის ახალ მძიმე ბრძოლას.

პირველი გენერალი კვარტირმეისტერი ფონ-ლუდენდორფი".

**ლონდონი.** 5 აპრილი. ოფიციალი. მთელს ღამის განმავლობაში სიუგიეს აღმოსავლეთით ბრძოლით მივაღწიეთ ახალს გამარჯვებას. ჩვენმა ჯარებმა აიღეს სოფ. ვილერგილენი. ტყვეები წამოყვანილია. ლანდრიკურთან მდგომარეობა განვიმტკიცეთ. დანარჩენს ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**ვაშინგტონი.** 5 აპრილი. საზღვაოსამინისტრო იუწყება, 4 აპრილს დილის 4 საათზე, ამერიკელთა კონტრნაღმოსანმა „სმისმა" შეჰნიშნა წყალქვეშა ნავის პერისკოპი, საიდანაც ნაღმი იქმნა გამოშვებული. შემდეგ წყალქვეშა ჩაყურყუმელავდა და დაიმალა.

**მადრიდი.** 5 აპრილი. გამართლდა ხმა ესპანელთა გემის „ტომის" დაღუპვის შესახებ. 17 კაცი დაიღუპა.

**პარიზი.** 5 აპრილი. სენკონტენის სამხრეთით ძლიერი საარტილერო სროლის შემდეგ გერმანელებმა ორჯელ მოიტანეს იერიში. ერთხანად კიდეც დაიჭირეს ჩვენი მოწინავე პოზიციები, მაგრამ მალე გავრეკეთ და ძველი მდგომარეობა აღვადგინეთ. ბრძოლის დაწყებიდან დღემდე 17 ათასი ტყვე წამოყვანილი, 75 ზარბაზანი დაგვრჩა დავლად.

**მავრი.** 5 აპრილი. სუსტი საარტილერიო სროლაა.

## ზღვაზე

**კოპენჰაგენი.** ექვს აპრილს განახლდება დანია-ამერიკის შუა გემების მიმოსვლა.

# უკანასკნელი ცნობები

**ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 18 აპრილიდან ვარშავის ხაგენერალ-გუბერნატოროში რუსული მანეთი ძალასა ჰკარგავს და მის მაგივრად პოლონური მარკა შემოდის ხმარებაში. რუსულ ვალიუტით ყოველგვარი ვაჭრობა აღკრძალულია. პოლონური მარკა გერმანულისას უდრის. ამ წესების დამრღვევს 100,000 მარკა ჯარიმა დაედება ან და 6 წლით ციხე მიესჯება.**

—

**იტალიელი სოციალისტ-რეფორმისტები სააგრარო კომუნიზმის შემოღებასა თხოულობენ. რუსეთში წამოსულა იტალიელი სოციალისტი მარგაბი და პრესა უკმაყოფილოა, რომ მარგაბი გერმანეთზე გაივლის.**

—

**ხმები დადის ბოლგარეთში რევოლიუცია იწყებაო.**

—

**ვაშინგტონში რუსმა ინჟინრებმა სთხოვეს პრეზიდენტ უილსონს, რუსეთში 500 ამერიკელი რკინის გზის მოსამსახურენი გამოგზავნეთ რუსეთის რკინის გზების მოსაწყობადაო. პრეზიდენტი თანახმაა.**

# მუშათა და სალდათთა საბჭოს დადგენილება

**5 აპრილს, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოების შეერთებულ კრებაზე განხილულ იქმნა კითხვა ჯარის კაცთა და მუშათა ორგანიზაციების უფრო მჭიდრო ერთიანობის შესახებ. დაადგინეს, ორივე ორგანიზაცია უნდა შეერთდეს და, პეტროგრადის მსგავსად, ერთი საერთო აღმასრულებელი კომიტეტი იყოლიოს. ამოირჩიეს კომისია საერთო ორგანიზაციის კონსტიტუციის შესამუშავებლად. ილაპარაკეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატთა და ფედერალისტთა მოქმედების შესახებ. აღნიშნეს მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც მოწმობს, რომ ნაციონალისტები უკვე შეუდგნენ თვის ეროვნულ მოთხოვნილებათა პრაქტიკულად ნაწილობრივ განხორციელებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. აღიარეს, რომ მათი მოქმედება არსებითად კონტრ-რევოლიუციონურია და ამიტომ დაადგინეს: მოიწვიონ ეროვნულ პარტიების წარმომადგენელნი და მოსთხოვონ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ნაციონალისტური ქადაგება და დაითხოვონ ქართველ-მხედართა კავშირი; თუ ეს მოთხოვნილებანი არ აასრულეს, ნაციონალისტთა წარმომადგენელნი დათხოვნილნი უნდა იქმნენ ხარევოლუციო მართვა-გამგეობის ორგანოებიდან. დაადგინეს აგრეთვე, გააძლიერონ პროპაგანდა, განსაკუთრებით სოფლებში, და დროებით, სანამ ნაციონალისტების მოქმედებით აღელვებული ხალხი დამშვიდდებოდეს, აეკრძალოთ ეროვნულ კითხვის შესახებ საჯაროთ ლაპარაკი.**

# დ ე პ ე შ ა

(„საქარ." საკ. კორეს.)

**არტაანი,** აპრილის 5. არტაანის მეციხოვნე ქართველ აფიცერთა და ჯარის კაცთა მიტინგმა დაადგინა აღფრთოვანებით მიესალმოს და მხარი დაუჭიროს სარევოლიუციო მთავრობას და დაეხმაროს რუსეთში ფედერალისტურ რესპუბლიკის დამყარებას. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და თავისუფალ ავტონომიურ საქართველოს.

თავმჯდომარე **ინჟ. ჯაფარიძე.**

მდივანი **პრაპ. ამაშუყელი.**

# ახალი ამბავი

✦ **პროფესორ ალ. ცაგარელის დეპეშა.** პროფესორმა ალ. ცაგარელმა პეტრეს ქალაქიდან ჩვენს რედაქციას შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „აპრილის შუა რიცხვებში ჩამოვალ. ალსდეგინ საქართველო".

✦ **ინჟენერ ჟაკს,** კავკასიის სამთო სამართველოს უფროსს, წინადადება მიეცა სამსახურიდან გადადგეს.

✦ **ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის** ბიურომ გადასწყვიტა ჩქარა ჩაიბაროს გაზეთი "კავკაზი".

✦ **აღმასრულებელმა კომიტეტმა** დაადგინა სთხოვოს დროებითი მთავრობის ამიერ-კავკასიის კომიტეტს, რომ ამნისტიის წესით საპყრობილედან გაანთავისუფლონ ოსმალეთის ქვეშევრდომი რამდენიმე სომეხი.

✦ **წყლის შესახებ** საკითხის მოსაწესრიგებლად 12 აპრილისათვის მცხოვრებთა წარმომადგენლების და დაინტერესებულ პირთა ყრილობაა დანიშნული.

✦ **დაშნაკ-ცუტუნთა პარტიის დელეგატების** ყრილობა დაიწყო 6 აპრილს სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში. კრება 9 აპრილამდე გასტანს. კრებას ყველა კუთხიდან დაესწრო წარმომადგენლები.

✦ **სამკურნალო ადგილების** მომწყობ-მომწესრიგეთა კრებაზე წასაკითხად ჯერ-ჯერობით წარმოდგენილი არც ერთი მოხსენება არ ეხება ისეთ ღირსშესანიშნავ ადგილებს, როგორც არის, მაგალითად, აბასთუმანი, სურამი, კოჯორი, მანგლისი, ექ. ლამბაშიძის სანატორია პატარა ცემში, ბაკურიანი, ბათომის მიდამოები, ახალ ათონი, გაგრას, გუდაუთი და სხ. კრების მომწვევი საორგანიზაციო ბიუროს იმედი აქვს, რომ ეს დიდი ნაკლი გასწორდება, მით უმეტეს, რომ კრების დაწყებამდე (6 მაისი) ჯერ კიდევ საკმაოდ დროა.

✦ **საალდგომო დარბაზობა.** აღდგომას მთავარ ეპისკოპოსმა პლატონმა აღდგომა მიულოცა სრულიად საქართველოს ქათალიკოს - პატრიარქის მოსაყდრეს ეპისკოპოსს ლეონიდეს. მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ იმავე დღეს გადაუხადა დარბაზობა მთავარეპისკოპოსს პლატონს.

✦ **კრება გაზეთის გამყიდველთა.** კვირას, 9 აპრილს, საათის სამზე შესდგება საერთო კრება. თბ. გაზეთების გამყიდველთა სომხის დრუჟინის ძველ შტაბის შენობაში ძველ არტელის საბოლოოდ ლიკვიდაციისა და ახალ საპროფესიო კავშირის დამტკიცებისათვის. პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს დაესწრნენ კრებას.

✦ **პენსიონერთა საზოგადოების** შუამდგომლობა, რომ მისი 1 დელეგატი წევრად ყოფილიყო მიღებული ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, კომიტეტმა არ შეიწყნარა.

✦ **ტრამვაის** შემოსავალს 100 ათასი მანეთით დაუკლია წარსულ მარტში. ამ მოვლენის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვაგონები ჯარის კაცებით ივსება, რომელნიც ბილეთებს არ ჰყიდულობენ და თანაც კონდუქტორებს ხელს უშლიან სხვა მგზავრებზე გაჰყიდონ ბილეთებიო.

✦ **ქალაქის მთავარი ფურნე,** როგორც ქალაქის გამგეობა ფიქრობს, მაისის შუა რიცხვებში უნდა იქნას მზად. გამგეობას იმედი აქვს, ამ ფურნეში 5000 პური გამოცხვება ყოველ დღეო.

✦ **ქალაქის ხარჯთაღრიცხვის** განხილვა უკვე დაამთავრა საბიუჯეტოსაფინანსო კომიტეტმა. ქალაქის საბჭო მომავალ ორშაბათს (10 აპრილს) შეუდგება ამ ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

✦ **რომანოვთა დინასტია და გენერალი გ. ნ. ყაზბეგი.** ჟურნალ „20 ვეკში" დაბეჭდილია ალექ. სუვორინის წერილი „რომანოვთა დინასტია", სადაც, სხვათა შორის, ავტორი ეხება ყველას მიერ საყვარელ გენერალ გ. ნ. ყაზბეგის წარსულს მოქმედებას. „როდესაც 1905 წ. გენერალი ყაზბეგი, ვლადივოსტოკის კომენდანტი, მოხსენებით წარუდგა ნიკოლოზ მეორეს, რომ ოქტომბრის დღეებში ჯარისკაცები წითელი დროშებით გამოვიდნენ, მაგრამ მან მოახერხა სისხლის დაუღვრელად მათი დაშოშმინება, უეცრივ გაქვავდა, როდესაც მეფის სიტყვები გაიგონა:

— და თქვენ სრულიად არ გისროლიათ, გენერალო?

— არა, არც ერთხელ არ გაგვისროლია, თქვენო უდიდებულესობავ.

— ტყუილად მოქცეულხართ ეგრე. უნდა გესროლნათ...

როდესაც გენერალი ყაზბეგი გამოდიოდა, ნიკოლოზმა კარებში ერთხელ კიდევ მოახსენა:

— საჭირო იყო სროლა...

სასახლიდან გენერალი ყაზბეგი სიბრაზისაგან გაფითრებული გამოვიდაო.

✦ **ქართველ** ინჟენერთა, ტეხნიკოსთა და სტუდენტ-ტეხნიკოსთა საორგანიზაციო კრება დანიშნულია 8 აპრილს, საღამოს 8 საათზედ საპროფესიო - სატეხნიკო საზოგადოების დასაარსებლად, ქართულ სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ.). ამ კრებაზედ შეიმუშავებენ წესდებას.

✦ **საქართ. ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის კრება.** დღეს, 8 აპრილს საღამოს 7 საათზე თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველ უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა კრება.

✦ **სტუდენტთა კრება.** დღეს, 8 აპრილს ახალ კლუბის დარბაზში სრულ 12 საათზედ დანიშნულია ყველა ეროვნების და მიმართულების სტუდენტთა და ქალთა უმაღლეს სასწავლებლის მსმენელების კრება.

✦ **არჩევნები ხარფუხში.** კვირას, 9 აპრილს, დილის 11 საათზედ, ქალაქის სასწავლებელში (საზამთროს მოედანთან) დანიშნულია მეხუთე უბნის მცხოვრებთა საზოგადო კრება. უბნის კომიტეტის ასარჩევათ.

✦ **ხარლამოვის დეპეშა.** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა მიიღო ამიერ-კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის ხარლამოვისაგან (საზოგადოების მიერ 22 მარტს გაგზავნილ დეპეშის პასუხად): „მადლობელი ვარ საზოგადოებისა მისალმებისათვის. გისურვებთ გამარჯვებას სამშობლოს საკეთილდღეოთ".

✦ **კარლო ჩხეიძე** დეპეშით მადლობას უძღვნის თბილისის ქალაქის გამგეობას და საბჭოს, თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევისათვის.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა გახსნას ნაძალადევში სამკურნალო.

◆ **ქალაქის მილიციის** უფროსი აცხადებს, რომ მეკანდიტერეებმა და მეფუნთუშეებმა 10 აპრილამდი გაჰყიდონ ყველა ის საკანდიტერო საქონელი, რომელიც 27 მარტამდი დაამზადეს. 10 აპრილის შემდეგ ამგვარი საქონელი ჩამოერთმევა მათ. იგივე უფროსი აცხადებს, რომ სანამ ღვინით ვაჭრობის ნებართვა გამოეცემოდეს, საწყობების პატრონებს ნება აქვთ იმუშაონ თავიანთ სარდაფებში ყოველ დღე დილის 10-დან საღამოს 4 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. უბნის კომისარებს ევალებათ თვალყური ადევნონ მათ ღვინო არ გაჰყიდონ და თუ რომელსამე მათგანს შეამჩნევენ, რომ ღვინოს ნებადაურთველად ჰყიდიან, სარდაფი სრულიად დაეკეტებათ.

◆ **კიტა აბაშიძე**, კომისარი დროებითის მთავრობისა, ქარებით ავად არის და ეს რამდენიმე დღეა არ უმუშავნია.

◆ **სახელმწიფო პალატას** წინადადება მიეცა 3 მილიონ მანეთის კრედიტი გაუხსნას ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას.

◆ **პოლკოვნიკი ა. ე. ხლივიცკი** თბილისის კომენდანტად დაინიშნა.

◆ **სავალდებულო დადგენილების** მიხედვით ტრამვაის კონდუქტორებს ნება ეძლევათ ყოველ ადგილას გააჩერონ ვაგონი, როცა ვაგონში ნორმაზე მეტი მგზავრები შევლენ და ვაგონი მანამ არ დაძრან, სანამ ფეხზე მდგომი მგზავრები ვაგონს არ დასტოვებენ. შეგნებული მოქალაქენი და მილიციონერები ვალდებულნი არიან დამხმარება აღმოუჩინონ კონდუქტორებს.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეებმა** მოთხოვნილება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას, რომ რასაც 8 საათზე მეტს იმუშავებენ, ამისათვის ცალკე ქირა მიეცესთ. მუშები აგრეთვე თხოულობენ, რომ დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალება განხილვა და გადაწყვეტა მათსა და ქალაქის გამგეობის შორის ამტყდარ უთანხმოებისა.

◆ **ნაძალევი საქონელი.** მილიციამ აღმოაჩინა ვაჭარ ჯველესიანის ბინაზე 1,118 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო ძმ. იარგულოვების მაღაზიაში 230 წყვილი.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოების მორიგი კრება მოხდება ორშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა № 2). კრების პროგრამა: 1) წარსულ მორიგ კრების განაჩენის წაკითხვა და დამტკიცება. I. სამეცნიერო ნაწილი; ექიმი ივ. ე. თიკანაძე წაიკითხავს შემდეგს მოხსენებას: გარეშე საგანი საშვილოსნოში და უჩვენებს ანატომიურ პრეპარატებს, რომელნიც შეეხებიან: ა) საშვილოსნოს ფიბრომიომას და ბ) საშვილოსნოს გარეშე ორსულობისას. ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი და ექიმი ნ. შენგელია წაიკითხავენ მოხსენებას მომავალ საექიმო დახმარების შესახებ საქართველოში. II საადმინისტრაციო ნაწილი: ახალ წევრების ამორჩევა.

◆ **პროფესორი ბენეშევიჩი,** რომელიც დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს საეკლესიო საქმეების კომისრად არის დანიშნული, დღეს თბილისში მოდის.

◆ **პროფესიონალი კავშირი.** ქართველმა მსახიობებმა გადასწყვიტეს დაარსონ პროფესიონალი კავშირი. კავშირისათვის წესდების პროექტის შედგენა მინდობილი აქვს კომისიას. მაისის ბოლო რიცხვებში ქართველ მსახიობთა ყრილობა მოხდება.

◆ **ახალი წიგნი ავტონომიის შესახებ.** გამოვიდა ნიკ. ყიფიანის გიორგი ყორღანიას წიგნი: „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია (ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა)". ფასი 10 კ.

◆ **თბილისის „პატრონატი".** ამ ჟამად დიდძალი ხალხია სატუსაღოებიდან განთავისუფლებული, რომელნიც ქონებრივად დიდად გაჭირვებული არიან. 9 აპრილს, დილის 12 საათზე, სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში თათბირი ექნებათ საზოგადოება „პატრონატი"-ს წევრებს და უნდა გამოარკვიონ ღონისძიებანი გაჭირვებულთა დასახმარებლად.

◆ **პოლიტიკურ დანაშაულისათვის განთავისუფლებულთა დამხმარე** კომისიას კრება ჰქონდა 6 აპრილს და დაადგინა: დამხმარე კომისია დაიყოს ექვს სექციად და ყველა მათგანს დაევალა, განთავისუფლებულთ აღმოუჩინოს სხვა და სხვა დახმარებანი: სამუშაოს პოვნა, ბინის შოვნა, საექიმო დახმარება და სხვა.

◆ **სამხედრო სანიტარო კომისია.** ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა სამხედრო-სანიტარო კომისია, რომლის მიზანია: ქალაქ თბილისის საავადმყოფოებში მყოფ ყველა სამხედრო პირთა დახმარების გაუმჯობესებას.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტს** უნდა მიეღო საინტენდანტოს საწყობიდან 30 ვაგონი ფქვილი („რაზმოლი"), მაგრამ მიიღო მხოლოდ 15 ვაგონი, რადგან საინტენდანტოს თითონვე ცოტა ფქვილი ჰქონია. განკარგულებაა, რომ თბილისში მომავალი ფქვილი გზაში არ გააჩერონ.

◆ **პროპაგანდისტების კრება.** კვირას, 9 აპრილს, დილის ათ ს. დანიშნულია ჯარის კაცთა საბჭოს დეპუტატების პროპაგანდისტების კრება, რომლის საგანია პროპაგანდის კურსების მოწყობა.

◆ **სასურსათო კრიზისი.** თბილისში უკანასკნელ დღეებში დიდი სიმცირეა საქონლის ხორცისა. დასავლეთ სხვილფეხა საქონელს ცოტას ერეკებიან თბილისში, ხოლო ცხვარი თბილისიდან სხვაგან მიჰყავთ. ზოგიერთნი, და მათ შორის ყასბებიც, ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ ვითომც ხორცზე დაწესებული ნიხრი ცოტა იყვეს. მაგალითად, ამბობენ, რომ ფუთი ხორცი 28—29 მანეთად ჯდებაო, მაშინ როდესაც ნიხრით ფუთი ხორცი 24 მანეთად ღირსო. რაც შეეხება ფქვილს, ესეც ნაკლებია თბილისში და საკმარისი არ მოდის. 1—6 აპრილამდე თბილისის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე წამოვიდა ბალაჯარიდან 17 ვაგონი ფქვილი.

**ფოთი.**

სავაჟო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრემ დაადგინა: გაუქმებულ იქმნას ლათინურ ენის სწავლება, მის მაგიერ მიემატოს სამშობლო ენასა და სასარგებლო საგნების გაკვეთილების რიცხვს; ბავშვები საზღვრულად 1 მაისს დაითხოვონ და საპედაგოგიო საბჭოსა და მშობელთა წრეში მონაწილეობა მიიღებინონ უფროს კლასების მოწაფეთაც.

**თელავი**

თავად ლვოვს და კერენსკის შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა თელავის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ: თელავის ნაციონალ-დემოკრატების მრავალრიცხოვანი კრება ულოცავს ახალ მთავრობას ძლევა მოსილ გამარჯვებას მტარვალ გვირგვინოსანზედ და აცხადებს, რომ იგი მზადაა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის მხარში უდგეს რუსეთის ხალხს გამარჯვების ბოლომდის მიყვანაში; ამასთან ერთად იმედოვნებს, რომ თავისუფალი რუსეთი აღადგენს ჩვენ გათელილ ეროვნულ უფლებებს და მიანიჭებს საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას.

**აბასთუმანი.**

აბასთუმანში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა წავიკითხეთ „საქართველოში" (№ 69) დაბეჭდილი პროგრამა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა. გისურვებთ მის განხორციელებას ცხოვრებაში. თუ ჩვენი დახმარება საჭირო იქმნება, მზათავართ თავი არ დავზოგოთ (ხელი უწერიათ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს).

**რუისი.** (გორ. მაზ.)

ეს ოთხი დღეა სოფ. რუისში გადამდები ავადმყოფობა—სათუღე გაჩნდა. პირველად გახდა ავად ერთი კაცი, შემდეგ მთელი ოჯახი (6 სული), სამი გარდაიცვალა ზედი-ზედ და სამიც შეწუხებულები არიან. გახდნენ ავად აგრეთვე მისი მეზობლები, საჭიროა ექიმის გამოგზავნა.

**ბათუმი.**

9 აპრილს დილით დანიშნულია ქალ. ბათუმში, ბათუმის ოლქის ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლებლების კრება, რომელიც განიხილავს ხსენებულ მასწავლებლების კავშირის წესდებას. კრებამ უნდა გადასწყვიტოს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები სწავლა-აღზრდის შესახებ, თანამედროვე მომენტთან შეფარდებით. აუცილებლად საჭიროა კრებას დაესწრონ ბათუმის ოლქის ყველა მასწავლებლები და უფრო კი პირველ დაწყებითის სკოლებისა; მათ შორის, საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებისაც.

**ხოფ. ქაჰრითი.**

27 მარტს მოხდა დიდი მიტინგი. დაესწრნენ: 11 სოფლის მცხოვრებნი. მიტინგმა ერთხმად აღიარა საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის შემოღების საჭიროება.

## საქართველოს საკათალიკოსო

**კავკასიის ფრონტის ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრობა მე-4 თურქესტანის დივიზიის მე-2 ლაზარეთისა** სულით და გულით მივესალმებით ღვთის მშობლის წილხვდომილ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობას, უსურვებენ აყვავებას.

მღვდ. ფირცხალავა.

—

**ყაზბეგი.** ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო მხარის, ხევის, სკოლების მასწავლებელნი, იმ ხევისა, სადაც თქვენმა მეუფებამ იმდენი ილვაწეთ სახალხო განათლებისათვის, ოცდა ოთხ მარტს შეიკრიბნენ და ერთხმად გამოსთქვეს სიხარული ივერიის ეკლესიის კანონიერ უფლებათა აღდგენის გამო. გამოსთქვამენ სურვილს მოეწყოს საეკლესიო ცხოვრება დემოკრატიულ საფუძველზე და ახლავე განხორციელდეს ეროვნული პრინციპი სწავლა-განათლების საქმეში.

თავმჯდომარე კრებისა
**გიორგი კვირაცხელია.**

—

ძველი სენაკის საოლქო სამღვდელოება მოგესალმებათ, თქვენო უსამღვდელოესობავ, როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოსის თანამოსაყდრეს. ზენაარსა ვსთხოვთ თქვენის მეუფების მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ტანჯულ, მაგრამ აწ უკვე განთავისუფლებულ სამშობლო ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ოლქის სამღვდელოების კრების მონდობილობით კეთილ მოწესე
**ერეკლე კალანდარიშვილი.**

—

**ზუგდიდი.** მოგილოცავთ მეუფევ, ივერიის ეკლესიის დროებითი მართველობის დაარსებას! დაე აღსდგეს და აყვავდეს ღვთის მშობლის მფარველობით თავისუფალ საქართველოში ავტოკეფალური ეკლესია ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ.

დეკ. ევგენი შენგელაია.

—

**არზრუმი.** შორ ოსმალეთიდან გახარებულნი მივესალმებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს და ვხარობთ ივერიის მრავალწამებულ ეკლესიის განთავისუფლებას.

მღვდ. თეოფ. მინდელი.

## პეტროგრადის უწყებები და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

პეტროგრადის უწყებებში შემდეგი წერილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ.

„მივიღეთ ცნობა, რომ დროებითმა მთავრობამ უკვე აღიარა ფაქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენისა.

ჩვენ გულწრფელად მოვულოცავთ ჩვენს მოძმე ქართველებს მათის ეკლესიის კანონიურ უფლებების აღდგენას.

ოცის წლის განმავლობაში ჩვენი გაზეთი დაჟინებით მიუთითებდა მმართველ წრეებს საქართველოს ეკლესიის უფლებების შემაძრწუნებელ დამცირებებზე.

ჩვენის გაზეთის ფურცლებზე თვით ბნელი რეაქციის დროსაც ხმა მაღლა ვიცავდით ქართველი ერის სარწმუნოებრივ უფლებებს.

ჩვენი თანამშრომელი, ნ. ნ. დურნოვო, კანონიურ უფლების ღრმა მცოდნე, დაუცხრომლად ეომებოდა სინოდს და მის ობერ-პროკურორს ივერიის ეკლესიის თავისუფლების დასაცავად. ჩვენსავე გაზეთებში იბეჭდებოდა ამავე საკითხზე მხცოვანი ისტორიკოსის პროფ. ა. ა. ცაგარელის წერილები, წერილები ცნობილ ქართველ მღვდელ-მთავრის ე. კ., (ეპისკოპოს კირიონისა), რომელმაც მრავალი სასჯელი გადიტანა ივერიის ეკლესიის უფლებების დაცვისთვის, საქართველოდან გამოძევებულ მსწავლულ ბერის ამბერი-სა, (ამბროსი ხელაია) „ძველი ავტოკეფალისტისა", მამა ი. ჩიჯავაძისა, ნატროშვილისა და სხვათა წერილები.

როგორც გადმოგვცემენ, მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღიარებას მმართველ წრეებში საერთო თანაგრძნობა არ გამოუწვევია. დარჩა კიდევ რამოდენიმე სადავო საკითხი, მაგრამ იმედია ესეც მალე მოგვარდება.

ჩვენ მივულოცავთ საქართველოს თავისუფალ რუსეთის პირველ მერცხალს. თავისუფალი რუსეთი განკურნავს მრავალ-ტანჯულ ერის წყლულებს. მრავალია ამ ერის ეროვნული წყლულები. ერთი უკვე განიკურნა. განიკურნება დანარჩენიც და საქართველო, თავის ძლიერი ეროვნულ პოლიტიკურ სულით, თავის ისტორიულ ტერიტორიის საზღვრებში შექმნის თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას.

## აკაკი ჩხენკელი ქუთაისში

2 აპრილს კავკასიის კომისარის ბ-ნ ა. ჩხენკელის ინიციატივით მოწვეულ იქმნენ საგანგებო თათბირისთვის ქუთათელ ნაციონალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის კომიტეტები.

კრებას თავმჯდომარეობდა გრიგოლ გველესიანი. სოციალისტ-ფედერალისტების სახელით გ. გველესიანი მიესალმა სტუმარს. შემდეგ გააცნო რევოლიუციის დროს სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ პარტიების შორის არსებული აღმაშფოთებელი ანტაგონიზმი.

ბ. გველესიანმა მკაფიოდ აღნიშნა სოციალ-დემოკრატების აშკარა სურვილი და ლტოლვა ჰეგემონიის ხელში ჩასაგდებად. დაასახელა ის უმაგალითო ხრიკი და შეუწყნარებელი საშუალებანი, რომელსაც ქუთაისელმა სოციალ-დემოკრატებმა მიმართეს მოწინააღმდეგე პარტიების „ასალაგმავად".

საქართველოს ნაციონალ-დემოკრატების მხრით ილაპარაკა: გ. ცხაკაიამ, ტრიფონ ჯაფარიძემ და სხვ.

ცხაკაიამ სთქვა: ძველი მთავრობა ბნელი ხიშტებით იმაგრებდა ზურგს, და დღეს გაბატონებული ესდეკების ბრმა პროვოკაციას ჯარში სხვა არავითარი მიზანი არა აქვს, გარდა იმავ ხიშტებით ზურგის მომაგრებისაო (ამ სიტყვებზე თავმჯდომარე შეაჩერებს ორატორს და სთხოვს ეგზომ უდიერად არ მოიხსენიოს მოწინააღმდეგე პარტია).

მან შემდეგ, რაც ქუთაისში ქართულ გაზეთების გამოცემა დაიწყო—სთქვა ტრიფონ ჯაფარიძემ,—4 გუბერნატორი იქმნა გამოცვლილი, მაგრამ არც ერთ გუბერნატორს ისე თავაშვებული ცენზურა არ უწარმოებია, როგორც ამას სოც.-დემოკრატები სჩადიან.

სოც.-დემოკრატებმა გაზ. „სამშობლო" დაგვიხურეს და გვემუქრებოდნენ, გაზეთის გაგრძელებას არ დაგანებებთ და სხვასაც არ გამოგაშვებინებთო.

გარდა ამისა, პარტიების წარმომადგენლებს კომისართან ბაასი ჰქონდათ ეროვნული საკითხის, კერძოდ ავტონომიის მოთხოვნის შესახებ. რადგანაც ჩემი დრო ძლიერ განსაზღვრულია,—სთქვა ბ-ნმა ა. ჩხენკელმა,—მე ყველაფერზე ვერ გიპასუხებთ. და არც მაჯულის როლი მინდა ვიკისრო. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ასეთი ანტაგონიზმი პარტიებს შორის რევოლიუციისთვის ფრიად მავნებელია. მით უმეტეს, რევოლიუციის შენობა დღეს არც ისე მკვიდრია, როგორც ბევრსა ჰგონიათ.

რაც შეეხება საქართველოს ავტონომიას,—ამბობდა კომისარი,—თქვენ კარგად იცით ჩემი აზრი ამ საგანზე, ჩემ ნაწერებიდან და ნალაპარაკევიდან. მე არა მარტო საქართველოს ავტონომიას, პოლონეთის რუსეთიდან სრულ გამოყოფას მოვითხოვდი და მილიუკოვს ვებრძოდი მაშინ, როცა დროებით მთავრობის წრეებში პოლონეთის თავისუფლების აღსარება ერთგვარ ყოყმანს იწვევდაო. დღეს ჩვენში ისეთ ლოზუნგის წამოსროლა, როგორიცაა საქართველოს ავტონომია, ცოტა არ იყოს, ნაადრევია. ახლავე ზომებს მივიღებთ, რათა სოც.-ფედ. მუშათა საბჭო ქუთაისის სოც.-დემოკრატების მუშათა საბჭოს შეუერთდესო.

ბ-ნ ჩხენკელს უპასუხა დ. უზნაძემ: მიკვირს, რა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვართ ქართველები დაბადებული! თუ პოლონეთის სრული გამოყოფა ნაადრევად არ მიაჩნდა ბ-ნ ჩხენკელს, საქართველოს ავტონომიის დრო როდის უნდა დადგესო? ამ სიტყვებისთვის ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

## წინასწარი ცენზურა

თბილისის მუშათა საბჭომ ჩვენს გაზეთს გაფრთხილება მისცა და დახურვით დაემუქრა. ამის შემდგომ მუშათა საბჭოს ადგილობრივ ასოთ-ამწყობთათვის გაუგზავნია მიწერილობა: რადგან ადგილობრივ გაზეთებში გრძელდება „პროვოკაციული" და „კონტრრევოლიუციონური გამოსვლები, მოგმართავთ თქვენ ასოთ-ამწყობებს რათა თქვენ იკისროთ გადასინჯვა იმ მასალების, რომელსაც აწყობთ. თუ რომელიმე წერილი საეჭვო აღმოჩნდება, ჩვენ გამოგვიგზავნეთ, რომ გადავსინჯოთ და აღვკრძალოთო. კრების მცირე ნაწილი ამბობდა თურმე—პარტიული ბრძოლა იყო და იქნება. თუ რეაქციის დროს არ გვეშინოდა ბურჟუაზიული პრესის იერიშების, ეხლა რას დაგვაკლებენო. ცენზურის დაარსება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იქნება და ამას უნდა ვერიდოთო. შემდეგ ამისა საკითხი პრინციპიალურად დაუყენებიათ:—შესაძლებელია თუ არა, რომ მუშებმა გაზეთის ცენზურა იკისრონო? დიდის ხმის უმეტესობით ამის შესაძლებლობა აღიარებიათ.

ამის შემდგომ კრება ცენზურის პრაქტიკულად განხორციელებას შეეხო. წინადადება შეიტანეს: ვინაიდან სტამბებში ცენზურის მოწყობა საძნელოა, სჯობს ვთხოვოთ მუშათა საბჭოს, რომ მან განსაკუთრებული **საცენზურო კომიტეტი დაარსოს ნაციონალისტურ პრესისთვის.** კრებას არ შეუწყნარებია ასეთი წინადადება და **ცენზურის განხორციელება თვით ასოთ ამწყობებისთვის დაუკისრებია.**

## საქართველოს წყლულები

**(წერილი პეტრეს ქალაქიდან).**

რუსეთის რევოლიუცია ფრიად საყურადღებო სახეებს ჰქმნის თავის განვითარების პროცესში. მთელი ის უფერული მასსა, რომელიც დესპოტიურ რუსეთის ქვეშევრდომთაგან შესდგებოდა, სრულს გარდაქმნას განიცდის. ხელოვნურად შეკოწიწებული ნაწილები, რომელთაც ძველი წეს წყობილება ერთმანეთში სთქვეფავდა, რომ ერთი სახის მონა მიეღო, ვერ გასთქვიფა თვითმპყრობელობამ და, როგორც კი შვება მიეცა, თავის ვინაობა აცნობეს თავისუფალს რუსეთს და მასთანვე წრფელი სურვილიც გამოსთქვეს, რომ აწინდელ მისწრაფებათა—პატიოსნებით სავსე რუსეთის მეგობრებად სცნობენ თავის თავს, არა სურთ განზე გაუდგნენ მას, ძმობას ეფიცებიან და ამის ერთად ერთ მძევლად თავის ეროვნულ მთლიანობის, ენის, მიწა-წყლის და თავმოყვარეობის აღსარებას მოსთხოვენ. ამგვარად, ისახება თავისუფალი პოლონეთი, ფინეთი, უკრაინა და სხვა.

თუ ამ ფაქტში ერთგვარი კანონზომიერება არ არსებობს, როგორ მოხდა, რომ ყველა ზემოხსენებული რუსეთის დამოკიდებული ერები ერთნაირად შეეგებნენ რევოლიუციას და ერთი და იგივე ნაბიჯი გადასდგეს, რომ დამოკიდებულთაგან თავისუფალ მოკავშირეებად და ერთი სხეულის შემადგენლად გარდაქმნილიყვნენ? და თუ არსებობს აქ კანონ ზომიერება, ჩვენც რომ ისევე უნდა შევსისხლხორცებულიყავით ერთმანეთში, მიგვეღო ერთი მთლიანი ქართული სახე და იგივე გვეთქვა, რაც სხვებმა სთქვეს. მაგრამ ალბად ბედისწერამ ჩვენს ტანჯულს სამშობლოს ვალად დადო „ქართლის ბედის" გადაწყვეტის წამებში აუცილებლივ გაიტანჯოს, ეწამოს, თითქმის სისხლით დაიცალოს და მხოლოდ მაშინ ეღირსოს თავის სვე-ბედის ან ავად, ან კარგად გადაწყვეტა! სხვით ვერაფრით აიხსნება ის ბაბილონის ენა, რომელზედაც დღეს, ასეთს საფიქრებელს წამებში, ჩვენდა სამწუხაროდ ქართველი ერი ალაპარაკდა.

ყოველ ეროვნებას ჰყავს თავის პარტიები და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ს.-დემოკრატებიც, ს.-ფედერალისტებიც და ეროვნულ-დემოკრატებიც; ეს პარტიები და მათი მრწამსი, სახელები, ჩვენი, ქართველების, მოგონილი კი არ არის; თვით ცხოვრებამ შექმნა, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ წარმოშობა და გამოჰყო, როგორც მთლიანი შეხედულობანი. ყველგან არსებობდა პარტიული ბრძოლა, აზრთა შეჯახება და შებრძოლება სიტყვით თუ კალმით, მაგრამ თავისუფლების მზის სხივთა კონა როგორც კი მოხვდა ამ ერებს, სამშობლოს სამკვდრო სასიცოცხლო საკითხის წინ ქედი მოიხარეს გონივრულად, ეროვნული ძალები შეაერთეს, მხარი მხარს მისცეს და დღეს მის საკეთილდღეოდ იღვწიან ხელდაუღებლივ. საოცარი მოვლენაა! იქაც არიან ს.-დემოკრატები, მაგრამ, სჩანს, სხვა ჯიშისანი გამოდგნენ. იმათ ელვის სისწრაფით იგრძნეს და შეიგნეს, რომ თუ დღეს არ გაუწოდეს ძმური ხელი თავის პირმშოებს, ხვალ და, მით უმეტეს, ზეგ, შეიძლება, გვიანღა იყოს! რა ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენის დასელების აზროვნება და მისგან გამომდინარი მოქმედება გაუგებარი რჩება, რადგან დასელთა მოქმედებას დღითი აჩნევია ის, თუ რამდენად მოწყვეტილია იგი დღევანდელ დღის უკიდურეს საჭიროებათა შეგნება!

თუ ადამიანს აზროვნების უნარის ნატამალი მაინც დაჰყოლია თან, იმის შეგნება უნდა ჰქონდეს, რომ მოვალეა ისტორიული მომენტის მიერ წამოყენებულს გადაუდებელს საკითხებს ყური მიუგდოს. ასე უნდა მოიქცეს ყოველი გონიერი და სინიდისიერი ადამიანი, თუ იგი მართლა ადამიანია და არა უსულ-გულო კერპი, რომელსაც, რამდენიც უნდა ეხვეწო, ევედრო, უყვირო და ლანძღო, დაუყვავო და შთააგონო, არწმუნო შენს სიმართლეში, მაინც კერპად დარჩება და მის უაზრო სახის ერთი და იგივე უგუნური გამომეტყველება არ შეიცვლება ერთის წუთითაც. მაგრამ [illegible] ის არ ეპატიება ადამიანს და მით უმეტეს იდეიურს. მან უნდა იცოდეს, რომ არც იმასა აქვს უფლება ლაჯებში ამოიჩაროს ვინმე, როგორც ეს თვითმპყრობელობას ჰქონდა ჩვეულებად. სადღეისო პირობებმა ძალა ხელში ჩაუგდეს ამ თეორიის თუნდ უანგარო მიმდევართ, რომელთაც კარგად უწყიან, რომ ნიკოლოზ II ხალხმა ტახტიდან გადმოაბრძანა, როგორც თვითმპყრობელი და მისი დამმონებელი; ნუთუ აქედან ნათელი დასკვნა ვერ უნდა გამოიყვანოს დასელმაც კი, რომ ქართველი ერი არც მას ემონება და ყოველ ღონეს იხმარს ასი წლის მძიმე უღლით გახეხილ კისრიდან ყოველი ახალი არა-მკითხე ბატონი ძირს გადმოაგდოს? რა უფლებით ჰგონია ჩვენს სოც.-დემოკრატებს, რომ ნამდვილი კაცური კაცები მხოლოდ ისინი არიან და სხვა კი თავისუფლების საქმის მოღალატეა. ეს მათი ახირებული საიდუმლოა. მაგრამ ქართველ ერს შეუძლია საკითხი პირდაპირ დაუყენოს ამ ვაჟბატონებს: გაუშუქეს მათ ქართველს ერს დღევანდელი მომენტის დიადი მნიშვნელობა მიუდგომლად და ჰკითხეს რამე მას იმის შესახებ, თუ რა სურს მას, როგორ უყურებს თავის ქვეყნის ბედ-იღბლის მწვავე საკითხს? არა და არა! რა სინიდისი აძლევთ ნებას ქართველს ხალხს თვალი აუხვიონ? თუ მცირეოდნად მაინც აქვთ წარმოდგენა მოქალაქობრივს უფლებებზე, დიდ, სიმართლით, ჭეშმარიტებით ებრძოლონ მოწინააღმდეგეს და არა ისე, როგორც ამას დღეს სჩადიან. იბრძოლონ სიტყვით, ბეჭდვით, დამშლელი ვინ არის, მაგრამ ოღონდ მაინც შეაჩერონ ბრძოლის საშუალებანი და ზნეობრივს სიფაქიზეს გზას ნუ აუქცევენ. ვინ მისცა მათ პატენტი, რომ მხოლოდ თავის თავი მიაჩნიათ მშრომელ ხალხის მებრძოლებად და მესვეურებად. განა ჩვენში იმდენად ძლიერია ქალაქის პროლეტარიატი, რომ მას შეეძლოს მიწის მუშა გლეხკაცობას ანგარიში არ გაუწიოს? სად ერთი მუჭა ქალაქის პროლეტარიატი და სად მთელი საქართველოს გლეხკაცობა! ამას ივიწყებენ ბელადნი დასელებისა და ითვისებენ მთელის მშრომელის სახელს; მისი ხელით ჰლამობენ გამოსჭრან საქართველოს ბედი თავის თეორიის ბლაგვი მაკრატლით და მერმე როგორ? გონიერების წინაღმდეგ! ერთხელაც არ გაუზომიათ და ისე აპირებენ გამოჭრას; იმას არ უწევენ ანგარიშ,; რომ გაჭრა და მერე ისიც ასეთი მაკრატლით, დიდად პასუხსაგები ოპერაციაა.

დროა ყველამ შეიგნოს მომენტის მნიშვნელობა და მთელის ერის წინაშე პასუხისმგებლობა...

**დემნა მროველი.**

## აგიტაციის თავისუფლება

რუსეთის რევოლიუციის გასამარჯვებლად ყოველი მოქალაქე განურჩევლად მისის ეროვნულ თუ კლასობრივ კუთვნილებისა, ვალდებულია მთელის თავისის ძალღონით გაამაგროს, მხარი დაუჭიროს ახალს დროებითს მთავრობას და არაფერი დაზოგოს რევოლიუციის განვითარებისათვის. მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სარევოლუციო მმართველობათ, დროებითს კომიტეტებს და რევოლუციონურ პარტიებს. თანამედროვე რევოლუცია ეყრდნობა უმთავრესად ჯარსა და იმპერიის იმ ელემენტებს, რომელნიც ყველაზე უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ძველის რეჟიმით. ეს ელემენტები გახლავთ მშრომელი მასა, მუშათა კლასი რუსეთში და მთელი განაპირა ქვეყნები, უსამართლობით ჩაგრული ერები. რევოლუციის არმიას, მაშასადამე, წარმოადგენს საშვიდობიან მოქალაქეთა შორის მუშებთან ერთად პატარა ერები, რომელნიც მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრივ განახლებისაგან მოელიან ხსნას და ესწრაფვიან ახალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროს რეალური, კონკრეტული სახე მისცენ საუკუნოებრივ, პოლიტიკურ მისწრაფებათ. რუსეთის რევოლუცია სწორედ მითაა უფრო შინაარსიანი, მითა აქვს მას უფრო მტკიცე და ფართე ნიადაგი, რომ ის ეყრდნობა რუსეთის მრავალ რიცხოვან პატარა ერებს, რუსეთის ჯარსა და მუშათა კლასს. ამ რევოლუციის მიმართულებაც თავიდგანვე იყო: სრული განთავისუფლება ჩაგრულ ელემენტებისა სახელმწიფოში—როგორც მუშებისა შიდა რუსეთში, ისე ეროვნებათა განაპირა ქვეყნებში.

ახალმა მთავრობამაც აუღო ალღო რევოლუციის მიმართულებას და მისს შინაარს; თვით რევოლუციონურ მთავრობისა და მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ ერთხმად აღია-

რა პრინციპი ერთა განთავისუფლე-ბისა. ვისაც ბევრი შესტკივა რევოლუციისათვის, ვინც გულწრფელი მეგობარია დღევანდელ რევოლუციისა, ვინც ნამდვილი რევოლუციონერია ის თავის თავს ვალდებულად ჩასთვლის ფხიზლად მიჰყვეს და ხელი შეუწყოს რევოლუციის განვითარებას და რევოლუციურ მთავრობის განკარგულებას სავალდებულოდ მიიჩნიოს. ყოველი ჯგუფი და პარტია ვალდებულია უსიტყვოდ დაემორჩილოს ახალ მთავრობას [illegible] ერთხელ საზოგადოდ დადგენილებამდე [illegible].

ჩვენ, როგორც განაპირა ქვეყნის შვილნი, უფრო გულისყურით რევოლუციის [illegible] რევოლუციონერ მთავრობას. ახალ დროებით რევოლუციურ მთავრობას დადგენილება ერთი განთავისუფლებისა [illegible] ხელი რევოლუციური [illegible] დღევანდელ რევოლუციურ მთავრობისა [illegible].

რუსეთის ერებმა ეს თავისთავი განსაკუთრებით [illegible] დამფუძნებელ კრებამდე [illegible] რევოლუციურ [illegible] მთავრობის [illegible] დაწყებამდე [illegible].

[illegible]

...გეგმის შეთვისებას. ამისათვის საჭიროა შეერთება ყველა ავტონომისტურ ჯგუფთა: როგორც ნაციონალისტებისა და ფედერალისტებისა, ისე ამ უკანასკნელთა ერთობლივ კავკასიის სოც. დემოკრატიულ პარტიის ქართულ სექციასთან, ე. ი. სოც. დემოკრ. იმ ნაწილთან, რომელიც უკვე დგას ეროვნულ ნიადაგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესებს. ამ შეერთების გარდა მთელის სიმძიმის ცენტრი ჩვენი მოქმედებისა უნდა გადავიდეს სათანადო რევოლუციონურ აგიტაციაზე. რუსეთს არასდროს არ დასჭირვებია აგიტაციის სრული და ფართო თავისუფლება ისე, როგორც ახლა, რადგან დამფუძნებელ კრებაზე უნდა შეკრბეს და გამოიხატოს მთელი რუსეთის მობინადრეთა ნამდვილი და უტყუარი გულისთქმა. არასდროს აგიტაციის თავისუფლების საჭიროება საქართველოს არ უგრძვნია ისე წწვავედ, ისე ღრმად, როგორც ეხლა, როდესაც საბოლოოთ უნდა გამოიხატოს, უნდა განსახიერდეს პოლიტიკური სულისკვეთება ქართველ ერისა, როდესაც აგიტაციის თავისუფლება ერთად-ერთი მთავარი საშუალებაა ურთი-ერთ შორის მსოფლმხედველობით დაშორებულ პარტიათა შეთანხმებისა. ყოველი შეკვეცა აგიტაცის თავისუფლებისა ხელის შეშლა იქნებოდა დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის, ე. ი. რევოლუციის განაჯვებით დაგვირგვინებისათვის. აგიტაციის თავისუფლების ხელის შეშლა ჩვენში იქნება რევოლუციის შეფერხება და პარტიათა შორის შუღლის ჩამოგდება და იმ შუღლის გაღრმავება, რომელიც უკვე არსებობს ერთა შორის, ე. ი. ეს იქნებოდა ნამდვილი კონტრ-რევოლუციონური აქტი.

ზემონათქვამის შემდეგ ცხადზე უცხადესია შემდეგი დებულება: რევოლუცია მოითხოვს იმპერიის ყველა ნაწილთა გარევოლუციონერებას და ამ რევოლუციის დროს ერთა ავტონომიურად განთავისუფლებას. ამგვარი მუშაობისათვის აუცილებელია აგიტაციის სრული თავისუფლება, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არის.

Titus.

# თვით-მპყრობელობის ნანგრევებზე

(ხმა მოსკოვიდან წერ. III)

(დასასრული)

22 მარტს მოსკოვს ეწვია ეკ. ბრეშკოვსკაია—„რუსეთის რევოლიუციის ბებიად" წოდებული. წელში ოდნავ მოხრილი, ცეცხლის მფრქვეველ თვალება 67 წლის „ბებია"—ცოცხალი ნიმუშია რუსეთის მტარვალობასთან მებრძოლისა. მუდამ (42 წლ. განმავლ.) ციხესა და ნოტიო ადგილებში ყოფნით მას ფეხები ისე დაჰზიანებია, რომ სიარული უჭირს. აღფრთოვანებულ ხალხს იგი ხელით დააქვს დარბაზიდან-დარბაზამდე, აუდიტორიიდან-აუდიტორიამდე. სოციალისტ - რევოლიუციონერთა კონფერენციას უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში 22 მარტს მან მიმართა სიტყვით, სადაც მძლავრად გაატარა ის აზრი, რომ დრომ სიტყვისამ—განვლო, დადგა ჟამი მოქმედებისათ. საჭიროა განუსაზღვრელის ენერგიით მუშაობა სოფლადო. ნუ დაზოგავთ,—მოუწოდა ახალგაზრდობასა, ჯანსა და დროს, თვით სიცოცხლესასა-კი, რათა მდაბიო ხალხს განუმარტოთ მომენტის სიდიადე და მისი მნიშვნელობა. მე-კი, ციხე-სიმაგრეთა ასული, ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავსა, რადგანაც მოვესწარ მტარვალის დამხობასა და თქვენს ასეთს ზეიმსა. მჯეროდა და მჯერა, რომ თქვენის წყალობით მტარვალი დაეცა საბოლოოდ და აწ ვერ აღადგენს დაკარგულსა.—კვირას 26 მარტს მის საპატიოდ ზეიმი გაიმართა ადგილობრივ—„ქალთა კლუბში". მრავალ სიტყვებში აღნიშნეს მისი შეუდრეკელობა, იშვიათი გულ-წრფელობა, მიზნისადმი დაუდეგარი მისწრაფება, შორს-მჭვრეტელობა და სხ. ამ ზეიმს დაესწრნენ, სხვა მრავალთა შორის, მოსკოვის grande dame-ებიც.

ერთმა ორატორმა ქალმა მას „მრავალ-მოწამე წმინდანიც" კი უწოდა. ყველა ამ „სიტყვებსა" ასე უპასუხა ღრმად მოხუცებულმა ეკ. კონსტან. ასულმა (საკუთარის სტენოგრამით): „ქალი—წმიდა ქმნილებაა. მასში ზოგჯერ მეტია ადამიანობა ვიდრე თქვენში (გადაავლო თვალი მამა-კაცთ). ქალს მეტი აქვს მოთმინება, იგი მზადაა თვით-შეწირვისათვის. მე პირადად, თუმცა მრავალი ტანჯვა და დევნა განმიცდია აწ მიცვალებულ რეჟიმისაგან, მაგრამ მაინც ერთ უუბედნიერეს არსებად ვრაცხ ჩემს თავსა. მოვესწარ მას, რასაც შვილის-შვილებს ვპირდებოდი. განახლდა ქვეყანა, მაგრამ, მოითმინეთ ჯერ კიდევ: ზეიმისა და ლხინის დრო კი მაინც არ მოსულა, იგი მხოლოდ ახლოვდება. შიში დიდი უნდა გვქონდეს, რათა თავისუფლება არ გამოგვგლიჯონ გარეშეებმა. მე-კი ჩემის კეთილ და მაღალ სულიერობისათვის უღრესად მადლობელი ვარ დედა ჩემისა, რომელიც მინერგავდა ბავშვობითვე ქრისტეს მრწამსსა და წმ. ბარბარეს ცხოვრების კითხვით ენერგიასა და მოთმინებას წვრთნიდა ჩემში.

„თქვენ ყველანი მოითხოვთ ქალთა უფლებების გაფართოვებასა, მაგრამ გახსოვდეთ კი, რომ უფლებათა თანასწორობა პირდაპირ გვავალებთ: ნიჭი, შრომისადმი უნარი და თავ-გამოდება გამოიჩინოთ მრავალ სფეროში. ეხლა საჭიროა შრომა—უკულტურო ბრბოს გაკულტურებისათვის, წერა - კითხვის არა მცოდნეთა—განათლებისათვის და, ჰე, მაშ მომყევით მე, და ჩემთან ერთად, სიტყვა დასდეთ, რომ ამ უდიდეს მომენტში პირ-ნათლად და დაუზარებლივ შეასრულებთ თქვენს დედობრივს ვალსა"-ო, ენერგიულად დაასრულა „ბებიამ".

ეს ის ეკ. ბრეშკოვსკაიაა—რომელიც 50 წლის წინად გაბედულად გამოვიდა „ხალხში", გაიჭრა სოფლად და ხალხს თავისუფლებისაკენ მოუწოდა. ეს ის ქალია, რომელმაც სასტიკი ომი გამოუცხადა დახავსებულ თვითმპყრობელობასა და სიტყვით, თუ საქმით მუდამ მის შემუსვრასა ჰლამობდა და აი კიდევაც ეგრე სასტიკად სდევნიდნენ „ბებიას": ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ, ციხიდან—ციმბირში... მაგრამ მისდა მოულოდნელად ირღვევა წყვდიადი, რკინის კარები ფართედ იღება მის წინა და უძახიან: „თავისუფალი ხართ" და აი ბოლოს საგანგებო ვაგონი შორეულ ციმბირიდან მას მოაქროლებს დედა-მოსკოვისაკენ, სადაც მადლიერი ერი, აფასებსრა მრავალ-ფეროვან წარსულსა—ზეიმითა და აღფრთოვანებით უხვდება...

შ. ბერიძე.

# დაბა-სოფლები

სოფ. ზემო-ხანდაკი (გორ. მ.) 2 აპრილს წირვის შემდეგ მღვდელმა ნ. ხუციშვილმა მიმართა ხალხს და წარმოსთქვა დროის შესაფერისი სიტყვა. აუხსნა, თუ რა ტანჯვა და წვალება განიცადა როგორც საქართველომ და ქართველმა ერმა ერთმორწმუნე რუსეთის ხელში; აუხსნა მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიისა.

ამის შემდეგ იქაურმა მცხოვრებელმა გოგიბედაშვილმა ხალხს წაუკითხა გაზეთები. იმანაც აუხსნა დაწვრილებით მნიშვნელობა ავტონომიისა. ხალხმა ორსავეს გულდასმით მოუსმინა ნათქვამი.

ს. ახალქალაქიდან, 4 აპრილს, ორი სომეხი გამოვიდა. ერთმა მათგანმა, რომელიც ძლივს ლაპარაკობდა ქართულად, სთქვა: მე დემოკრატი ვარ, ავტონომია ნუ გინდათ, ეგ ბატონყმობის ჩამოგდებას ნიშნავს, ნურც თქვენ მღვდელს და ნურც აქაურ აზნაურიშვილებს დაუჯერებთო. მერე მოწმობა მისცეს ხალხს და თან უთხრეს: ამ მოწმობის ძალით არავინ შემოუშვათ ჩვენს მეტიო.

აქაურ აზნაურიშვილების წინააღმდეგ უკვე აშკარათ გაისმის უკმაყოფილების ხმა.

ა. იახიძე.

# შემოწირულება

ბ-ნ ვანო მესხიშვილმა მთელის წლით გამოუწერა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" საგარეჯოს საფეიქრო სკოლას. გულითადი მადლობა მოგვიხსენებია. საფეიქრო სკოლის მასწავლ.

ანნა კაპანაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი

ხარიტონ შავიშვილი


ექიმი

**მ. ი. მარნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] № [illegible] 90[illegible]

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა

**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთავის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

**მ. მ. მუხაძე**

იღებს ხადონტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე შილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე შილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ტელეფონი „914" და „606"

შეუხაპუხება

დოსტაქარი, ბებიაქალი

[illegible]

**კალანდარიშვილი**

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და [illegible] ავადმყოფებს მიიღებს

[illegible] ქ № 8.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ამაღლობელისა

ექიმი

**ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის** | | | | |
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |
| **თფილისში მოდის:** | | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 8, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი მასთან იაფი საშუალება

**სიფილისს,** სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელს, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას ხაჩქაროდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება პროფესორ როშის

**იოდასტარინი**

ნუ შეგეცდებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა სურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

**ახალი საკრებულო**

(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 163.

შაბათს, 8 აპრილს,

**ქართული წარმოდგენა**

ტასო აბაშიძის, ვასო აბაშიძის და სხვების მონაწილეობით.

**სიმფონიური ორკესტრი**

კვირას, 9 აპრილს,

**ოპერეტტა რუსულ ენაზე**

ბ. ბაუშევის ხელმძღვანელობით

სტუმრები საზოგადო წესით. წარმოდგენებზედ შესვლა უფასოა.

(1—635—1)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაზეთი

**„ხალხის ერთობა"**

ივანე გომართელის მუდმივი მონაწილეობით და პარტიულ მუშათა თანამშრომლობით.

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის მთავარი მიზანია ავტონომისტების გაერთიანება და ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

ფასი: წლის დამლევამდე სამი მანეთი. თითო ნომერი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში, „მორაპნის" სტამბის კანტორაში, მადათოვის კუნძული № 1.

მისამართი: Тифлисъ, Ред. газ. „Халхисъ Эртоба" I. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ი. იმედაშვილი.

(2—638—2)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

**„ეშმაკის მათრახ"-ზე**

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ თავართქილაძეს. (უ.)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სევაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის მაზილდალი, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიყბა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ქარებს (რევმატიზმის), ნეკრესის თირკმელების (ჭაჭების)**

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

**სუსუნატით (გონორეა) ავადმყოფებს,**

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯდლებულ და ქრონიკულ ხუხუნატს საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

**რატომ**

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

**იმიტომ, რომ,**

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

**„რეზუროლინი"**

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.


სტამბა „ცხოვრება" ძმათა კალანდაძეებისა, გამაევის შესახვევი № 4.